

ჟურნალი კაპიტალი, № 10, 2007

ეკონომიკურ გუნდში პროფესიონალების დეფიციტია

“კაპიტალის” კითხვებს უპასუხებს ექსპერტი ვლადიმერ პაპავა

– როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციურ პროცესებს? რამ გამოიწვია საქართველოში ასეთი მაღალი ინფლაცია?

– საქართველოში ინფლაციის ზრდას რამდენიმე წინაპირობა აქვს. პირველი უკავშირდება „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდს, როდესაც ყოფილი ჩინოვნიკები, თავისუფლების სანაცვლოდ, სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სასარგებლოდ გარკვეულ თანხებს იხდიდნენ. მათ დანაზოგები დოლარში ჰქონდათ, თუმცა ბიუჯეტსა და ფონდებში ამ თანხების შემოდინება ეროვნული ვალუტით, ანუ ლარით ხორციელდებოდა. სწორედ ამ პერიოდიდან ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდამ ლარის დოლართან მიმართებაში გამყარება გამოიწვია.

მეორე მიზეზი საფინანსო დისციპლინის გამყარებაა. რევოლუციურმა მთავრობამ იმპორტიორებს ვალდებულება შეახსენა და მათ ბიუჯეტში გადასახადების გადახდა დაიწყო. ბუნებრივია, ამანაც გააჩინა დამატებითი მოთხოვნა ლარზე.

მესამე – ეს არის საზღვარგარეთ ემიგრირებული ქართველების ფულადი გზავნილები. ოფიციალური საბანკო სტატისტიკით, 2006 წელს, 2000 წელთან შედარებით, ფულადი გზავნილები 5-ჯერ გაიზარდა.

მეოთხე – პრივატიზაცია, როცა უცხოური კომპანიები საქართველოში ქონებას ყიდულობენ, მთავრობას ფულს ეროვნულ ვალუტაში უხდიან. ამისათვის კი შემოტანილი უცხოური ვალუტით ლარს ყიდულობენ.

მესუთე – ნებისმიერი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, რომელიც ქვეყანაში ხორციელდება: დოლარით შემოსულ ინვესტორს ბუნებრივია მისი ეროვნულ ვალუტაზე გადაცვლა სჭირდება.

საქართველოში ამ პროცესებმა დოლარის მიმართ ეროვნული ვალუტის გამყარება გამოიწვია. თუ „ვარდების რევოლუციამდე“ გაცვლითი კურსი 2.10-2.15 ლარი იყო, დღეს ეს მაჩვენებელი 1.63-1.64 ლარამდეა შემცირებული, ანუ ლარი 50 თეთრამდე გამყარდა. გამყარება უფრო თვალშისაცემი იქნებოდა, რომ არა ეროვნული ბანკის ჩარევა და ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის შესყიდვა. საქართველოს ეროვნული ბანკი ყიდულობს იმპორტირებულ დოლარს და ლარს ყიდის. გაყიდული ლარი კი მაღალი ინფლაციის მიზეზია, რადგანაც მიმოქცევაში გაშვებული ლარის დიდი ოდენობა ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს.

– როგორ უნდა იმოქმედოს ამ დროს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ? ქვეყანაში ინფლაციის შესამცირებლად რა პრევენციული ღონისძიებებია საჭირო, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა მთავრობა 72 მლნ ლარის ღირებულების ვაუჩერიზაციის პროგრამას ახორციელებს?

– საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ყველაფერი გააკეთა, რომ ლარი დოლარის მიმართ ძალიან არ გამყარებულიყო, შეეცადა თავისი ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიმოქცევაში არსებული ჭარბი ფულის მასა ამოეღო. თუმცა ეს პრევენცია ინფლაციის დონეს ვერ შეამცირებდა, რადგან მთავარი დარტყმა საქართველოს მთავრობაზე მოდიოდა. ამ დროს მთავრობამ დეფიციტურ ბიუჯეტზე უარი უნდა თქვას და პროფიციტული ბიუჯეტის დაგეგმვაზე გადავიდეს, ანუ ბიუჯეტის შესრულებისას ხარჯებს საგადასახადო შემოსავლები უნდა აღემატებოდეს. ამასთან, გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლები სპეციალურ, ე.წ. „სტაბილიზაციის ფონდში“ შეინახოს, რათა იგი მიმდინარე წელს არ დაიხარჯოს. თუმცა, 2007 წლის დასაწყისში სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტი 374.2 მლნ ლარით დაიგეგმა, ხოლო 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტი 180.44 მლნ ლარს შეადგენს.

მთავრობას აქვს ისეთი ხარჯები, რომლებიც თავისი დატვირთვით ინფლაციურია, თუმცა მათ შორის, აშკარად საჭირო ხარჯებიცაა. ასეთებში ვგულისხმობ გზების მშენებლობას. გზების მშენებლობა მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე ეკონომიკა ვერ განვითარდება. თუმცა, სანამ გზა აშენდება, ეს არის მხოლოდ ინფლაციური ხარჯი. საავტომობილო გზების მშენებლობა გარკვეულ პერიოდს მოიცავს, ხოლო აშენებულ გზას მინიმუმ 2-3 წელი სჭირდება, რომ ეკონომიკას რეალური ეფექტი დაატყოს.

მთავრობის წარმომადგენლები სხვადასხვა სიდიდის შადრევნებით საზოგადოების წინაშე თავს ხშირად იწონებენ. ვფიქრობ, ქვეყნისათვის ეს არის დამღუპველი. ატრაქციონები და გასართობი სკვერები, რომლებიც ბიუჯეტის ხარჯზე კეთდება, ეკონომიკას რეალურ შედეგს ვერ აძლევს. ეს არის ხარჯი, რომელსაც შედეგი არ მოჰყვება.

ამასთან, ცრუ დასაქმების პროგრამები, რომლებსაც ხელისუფლება უკვე მეორე წელია „წარმატებით“ ახორციელებს. ვგულისხმობ სტუდენტურ პროგრამას, როდესაც თბილისის მთავრობა „ქალაქის დასუფთავებისთვის“ სტუდენტებს ხელფასს უხდის. ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული დასაქმების პროგრამა, როდესაც მთავრობა უმუშევრებს 3 თვის განმავლობაში 450 ლარით დაეხმარა მხოლოდ იმისათვის, რომ კერძო კომპანიიდან ცნობა მოეტანათ, ვითომ დასაქმდნენ. ფაქტობრივად, ეს იყო გადაყრილი 22.5 მლნ ლარი, რომელმაც ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაზარდა.

გარდა ამისა, ინფლაციის გაზრდას ხელს ვაუჩერიაციის პროგრამაც უწყობს. მთავრობის მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია, რომ მოსახლეობას ამ ფულს ვაუჩერის სახით აძლევს და ფულს პირდაპირ ელექტრონერგის და გაზის მომწოდებელი კომპანიების ანგარიშზე რიცხავს. რადგანაც სასაქონლო მასაში, რომელსაც დღეს ბაზარზე არსებული ფულის მასა უპირისპირდება გაზი და დენიც შედის, ამიტომ ვაუჩერების გამოყენება ამ სასაქონლო მასას ამცირებს ფულის ხსენებულ მასასთან შედარებით, რაც ასევე ხელს შეუწყობს ინფლაციის ზრდას.

ეროვნული ვალუტის გამყარება ცუდია ექსპორტისთვის და, პირიქით, კარგია იმპორტისთვის, რადგან ექსპორტი იაფდება, ხოლო იმპორტი ძვირდება. მცირე ზომის ქვეყნისათვის, რომლის შიდა ბაზარიც ასევე მცირე ზომისაა, ექსპორტის შეფერხება და იმპორტის სტიმულირება – ეს სერიოზული დარტყმაა მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

ქართულ ეკონომიკაში ისეთი არაფერი ხდება, რაც სხვა ქვეყნებში არ მომხდარა. გამოცდილება არსებობს, საჭიროა მხოლოდ მეტი პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. დღეს საქართველოს მთავრობაში პროფესიონალების დეფიციტია. ვიდრე ეს დეფიციტი იარსებებს, ქვეყანაში ეს პრობლემაც კვლავ დღის წესრიგში იდგება.

პროფესიონალი ფინანსთა ყოფილი მინისტრი ალექსი ალექსიშვილი დღეს მთავრობაში აღარ არის. მთავრობაში კომპეტენტურობის პრობლემა დგას და მის წევრებს სითამამეც არ ჰყოფნით, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ პრეზიდენტს სიმართლე უთხრან.

როდესაც პრეზიდენტი ვაუჩერიზაციის პროგრამის განხორციელების ინიციატივით შევიდა მთავრობაში, აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთი ეკონომიკური პროფილის უწყების წარმომადგენელმა პრეზიდენტს არ შეახსენა ან არ აუხსნა, რომ ეს ქვეყანაში ინფლაციის ზრდას გამოიწვევდა.

– 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ინფლაციის წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი 5 პროცენტია. რამდენად რეალურია ინფლაციის მაჩვენებლის მსგავსი დაგეგმვა და როგორ მოახერხებს მთავრობა ამ მაჩვენებლის შენარჩუნებას?

– 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში ლარის გაცვლითი კურსი არ არის ჩადებული. როცა ეს კითხვა ფინანსთა მინისტრს დაეუსვი, მან კი მიპასუხა, რომ დაახლოებით (?) იცის, რა გაცვლითი კურსი დევს ბიუჯეტში.

2007 წლის იანვარ-სექტემბერის მონაცემებით, ქვეყანაში არის 8-პროცენტობის ინფლაცია. ეს არის მთავრობის დაქვემდებარებაში არსებული სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. სხვა შემთხვევაში დეპარტამენტის უფროსი თავისი წინამორბედის ბედს გაიზიარებს, რომელმაც 2006 წელს რეალობასთან მიახლოებული ინფლაციის ორნიშნა მაჩვენებელი გამოაქვეყნა. ამიტომ 2008 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი რამდენი პროცენტი იქნება, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს – რა დავალებაც ექნება სტატისტიკის დეპარტამენტს მთავრობიდან იმ ციფრსაც დააფიქსირებენ.

– გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლება ეროვნული ბანკის ლიკვიდაციას გეგმავს. ამასთან, ამ ინფორმაციას ადასტურებს ისიც, რომ 2008 წლის ბიუჯეტში ეროვნული ბანკის მოგება არ დევს. მართლაც მოსალოდნელია თუ არა ეროვნული ბანკის გაუქმება და რა შედეგი მოჰყვება ამას?

– ეს არის ბინძური პოლიტიკური თამაში. მართალია, 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში მოგება არ დევს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნული ბანკი გაუქმდება. შესაძლებელია, მას მოგება არ ჰქონდეს, მაგრამ რადგანაც სახელმწიფო ბანკია და მას გაკოტრების საფრთხე არ ემუქრება. თუმცა, აქედან შეიძლება პოლიტიკური თამაში ააგორო და თქვა, რომ ბანკს მოგება აღარ აქვს და, შესაბამისად, აღარ გვჭირდება.

საქართველოში ეროვნული ბანკის გაუქმებას მხოლოდ უარყოფითი შედეგი ექნება. მისი გაუქმების შემთხვევაში, მთელი ფუნქციები, რომლებიც მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის იყო განაწილებული, მთავრობის დაქვემდებარებაში გადავა. ეროვნული ბანკი არის პროფესიული ორგანო, ხოლო მთავრობა პოლიტიკური სტრუქტურა. მთავრობის ხელში გადასული ეროვნული ბანკის ფუნქციები კი სტანდარტულ პოლიტიკურ იერსახეს მიიღებს.

– საქართველოს პრეზიდენტმა, მთავრობის გუნდთან ერთად, ბაზარზე მონოპოლისტების არსებობა გააკრიტიკა. თუმცა, თავის დროზე ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმეს...

– ნებისმიერი ბაზარი ყოველთვის წარმოქმნის მონოპოლისტებს. ბუნებრივია, საქართველო ამ პროცესებს ვერ აიცილებდა. რაც შეეხება ისეთ ბუნებრივ მონოპოლიურ სტრუქტურებს, როგორცაა ენერგეტიკა და ტელეკომუნიკაციების სფერო, აქ რეგულირებას დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები ახორციელებენ. ქვეყანაში უნდა არსებობდეს ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის ფუნქციაცაა ბაზრის სეგმენტზე არსებული ვითარების შესწავლა, რომ რომელიმე კომპანია ბაზარზე მონოპოლისტი არ გახდეს და ფასებით მანიპულირება არ დაიწყოს.

სამწუხაროდ, ჩვენმა მთავრობამ რეფორმების ქოლგის ქვეშ ანტიმონოპოლიური სამსახური „წარმატებით“ გააუქმა. იმ რეფორმების მსგავსად, რომლებიც ქართულ ეკონომიკას ანგრევს, ამ რეფორმის ინიციატორიც სახელმწიფო მინისტრი კახა ბენდუქიძე იყო. 2004 წელს ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას პარლამენტში დიდი კამათი მოჰყვა, თუმცა მაშინ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი წარმატებულად მიიჩნია. დღეს ყველამ დაინახა, რომ ეს დიდი შეცდომა იყო, თუმცა ბატონი კახას პასუხისმგებლობის საკითხს არავინ აყენებს...

პირველ ეტაპზე, აუცილებელია სპეციალური კანონის შემუშავება „ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ“, რომლის საფუძველზეც ახალი ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა შეიქმნას.

ლიკა ბახტაძე